საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IX, № 1, 1948

ენათმეცნიერება

ბ. ახვლედიანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

# უცნაური დ ელემენტი ოსურ დუნ, დუ-ში

(ოსური ენის იბერიკავკასიზმების საკითხისათვის)

1. რაც უფრო მეტად იკვლევა ოსური ენა, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ჩვენი კვლევისთვის მისაწვდომი ოსური ენა ძლიერ „გაკავკასიურებული“ ირანული ენაა. იგი წარმოუდგენელია იმ ლინგვისტურ ელემენტთა გარეშე კავკასიურ ენათა სამყაროდან, რის გამომჟღავნებაც მოუხერხდა მეცნიერებას; ამიტომ ის ცოტაოდენიც კი, რაც გამომჟღავნებულია, უკარნახებს მკვლევარს როგორც სცნოს ოსური ენის ორბუნებიანობა, ისე დარწმუნებული იყოს, რომ ბევრი რამ დარჩა მას საკვლევი ამ მიმართულებით.

საქმე შეეხება არა მხოლოდ გავლენას კავკასიურ ენათა მხრივ, რა ძალისაც უნდა იყოს იგი, არამედ ძლიერ ენობრივ შერევას, რაც გამოიხატა ოსური ენის ძვრაში—როგორც ფორმალურად, ისე „მატერიალურად“—კავკასიურ ენათაკენ[1].

ამ საკითხის გამახვილებისა და შესაფერი დებულების დასაბუთების დამსახურება ეკუთვნის ვ. აბაევს, რომელიც ჯერ კიდევ 15 წლის წინეთ სწერდა: „ოსური ენის სისტემაში, როგორი სახითაც მოცემული გვაქვს იგი დღეს, ირანული და არაირანული შერთულა და შერწყმულა ერთ ორგანულ მთლიანობად, და ამ მთლიანობიდან ელემენტთა ჯგუფის იზოლირება...—ეს ნიშნავს მოახდინო ვივისექცია და უკუღმართი წარმოდგენა მისცე თანამედროვე ცოცხალი ოსური ენის შესახებ“ ([1], 58).

ვ. აბაევი ჰყოფს ოსური ენის შესწავლის ისტორიას სამ მთავარ პერიოდად (1—„წინასწარ მოგზაურულ ჩანაწერთა“, 2—„აღწერილობით-გრამატიკული“—შიოგრენ, როზენ და 3—„ინდოევროპეისტული ანუ ირანისტული“—უმთავრესად ვ. მილლერი) და განაგრძობს: „დღეს ოსური ენის შესწავლა უნდა შედგეს, ჩვენი აზრით, ახალ, მეოთხე ეტაპზე, რომელშიც ოსური ენა უნდა განვიხილოთ, როგორც ერთიანი მთლიანობა, როგორც ცოცხალი სისტემა, თანაბარი ღირებულებისად ვცნოთ, ცხადია, ყოველი მისი ელემენტი და გავითვალისწინოთ ეთნიკური და ლინგვისტური გარემოცვა, რომელშიც იგი იმყოფება კავკასიაში ჩვენი მიმოხილვისათვის მისადგომი მთელი ისტორიის მანძილზე“ ([1], 59).

[1] აქ არ ვეხებით საკითხს ოსური ენის უშუალო გავლენის შესახებ კავკასიურ ენებზე.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რასაკვირველია, რომ ვ. აბაევს მეორე და მესამე-
პერიოდები მიაჩნდეს განვლილ პერიოდებად ოსური ენის შესწავლის ისტო-
რიაში, და მის მსჯელობას ვთვლით უეჭველ საფუძვლიანად. მეტიც შეიძლება
ითქვას; მეოთხე პერიოდი ფაქტობრივ დაიწყო უკვე 20-ანი წლების დასაწ-
ყისიდან, როცა დადგენილ იქნა ოსურში პრედიკატიული მიცემითი [2] და
როცა მიკვლეულ იქნა ოსურში პრერუპტიული „ქ"-ს არსებობა [3 და 8], რაც
მართებულად ცნო ვ. აბაევმა და განაზოგადა იგი ყველა ხშულთათვის კავკა-
სიურ ენათა ფონეტიკასთან დაკავშირებით [9]; იგივე ეტაპია ასახული ნაწი-
ლობრივ შრომებში გემინირებული აფრიკატებისა [5] და ხშულთა გემინაციის შე-
სახებ ოსურში [6] და აგრეთვე ხშულთა დისიმილაციური გამჟღერების შესახებ [4]

ამავე ეტაპს ეკუთვნის ვ. აბაევის რიგი შრომები და ცალკეული გამოთ-
ქმები ამ საკითხებზე, მაგ: დამახასიათებელი ს' და ზ' სიბილანტების შესახებ,
რომელთაც მივყავართ მთის დასავლურ ენათა ჯგუფისაკენ ([1], 63), ოსური
ბრუნების აგლუტინაციური სისტემის შესახებ (იქვე, გვ. 64), ტიპოლოგიურად
მყოფადის კავკასიური წარმოების შესახებ (იქვე, გვ. 68), აკუზატივის უქონ-
ლობის შესახებ ოსურში [11] და სხვ.

2. რიგით უკანასკნელი ჰიპოთეზი, რომელსაც უნდა აეხსნა ოსური მე-
შველი ზმნის აწმყოს 1 და 2 პირის დ ელემენტი, წარმოდგენილი იყო 20 წლის
წინეთ ვ. ტომაშევსკის მიერ [7]. იქვეა მოცემული საკითხის ლიტერატურა და
მის მიერ უკუგდებულ (ფრ. მიულერისა, კ. ზალემანისა და ვს. მილლერის)
თეორიათა კრიტიკა.

ჩვენ ვეთანხმებით ვ. ტომაშევსკის დასახელებულ ავტორთა მიერ წარ-
მოდგენილი ახსნის კრიტიკაში (ნაწილობრივ ზალემანის გამოკლებით), მაგ-
რამ არ შეგვიძლია მივიღოთ მისი ჰიპოთეზი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს:

ავტორი ვარაუდობს, რომ, მაგ. ცჳდთჳნ, ცჳდთჳ<*ცჳდ-ჳნ, ცჳდ—ჳ-
საგან დ-ს გემინაციის გზით ცჳდდჳნ, ცჳდდჳ საფეხურის გავლით. „ოსთა ენობ-
რივმა ცნობიერებამ დ-ს გემინაციის ეპოქაში ალიქვა მეორე დ, როგორც მეშ-
ველი ზმნის კუთვნილი თავკიდური, რამაც გამოიწვია მეშველი ზმნის დუბლე-
ტური ფორმების გაჩენა: დჳნ და ჳნ, დჳ და ჳ და ა. შ. ([7], 78).

ძნელია, ჩვენი აზრით, დამტკიცდეს, რომ ხშულთა გემინაციამ (და არა
გრძელი თანხმოვანი), შეთვისებული ოსურის მიერ კავკასიურ ენათაგან, გაჩნდა
ოსურში დჳნ, დჳ-ს ფორმირებაზე ადრე (<დ+ჳნ, დ+ჳ-საგან); მაგრამ ამის
დამტკიცება რომ შესაძლებელიც იყოს, სულ ერთია, შეუძლებელია დავუშვათ
გარდამავალი საფეხური გორკეცებული დ-თი (ე. ი. ცჳდდჳნ, ცჳდდჳ), რომ-
განაც ოსურის გემინირებული მჟღერი ხშული უნდა თავდებოდეს პრერუპტი-
ვით [6], ხოლო პრერუპტივს არ შეეძლია გამოიყოს მთქმელის ცნობიერებაში
მჟღერი ხშულის (დ-ს) სახით. შეგვიძლია ვიფიქროთ მხოლოდ პირიქით: გე-
მინირებული და შესაძლებელია აქ მხოლოდ დდ-საგან (მაშასადამე, ცგდთჳნ<
<*ცგდ+დჳნ). ამიტომ ტომაშევსკის ჰიპოთეზი არაა დამაჯერებელი.

3. ოსური ენის კავკასიურ ენათა ნიადაგზე ძლიერი შერეულობის შესა-
ხებ ზემოთ ნათქვამი ნებას გვაძლევს ვივარაუდოთ ამ უცნაური დ-ს ახსნის
შესაძლებლობა იმავე ნიადაგზე.

ჩვენ გადავსინჯეთ შესაფერი ელემენტები იმ კავკასიურ ენებში, რომლებიც მეზობლობენ (ან მეზობლობდნენ) ოსურს, და გავჩერდით ჩაჩნური ჯგუფის ენების კლას-კატეგორიის ოთხთაგან ერთ-ერთ მაჩვენებელზე, სახელდობრ დ-ზე, რომელიც ერთ-ერთი კლასიფიკატორია მეშველი ზმნისა; სწორედ დ-ს კლასურად ნეიტრალური ხასიათია ჩაჩნურ-ინგუშურში, რომ აძლიერებს ვარაუდს მისი ოსურ მეშველ ზმნაში შესვლის შესაძლებლობისას.

მაგრამ მას შეეძლო შესულიყო ოსურში არა როგორც კლასის მაჩვენებელი, არამედ მხოლოდ მექანიკურად.

საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ დ შეიძლებოდა შესულიყო ოსურში უფრო ინგუშურიდან, სადაც ჩვენთვის საინტერესო ფორმა წარმოდგენილია და-ს სახით, და არა ჩაჩნურიდან (დუ)[1].

დ ელემენტის ოსურის მიერ შეთვისების პროცესში დადებითი როლი შეიძლებოდა შეესრულებინა შემდეგ გარემოებას:

ჯერ კიდევ აკად. კ. ზალემანმა ივარაუდა ოსურის მეშველი ზმნის მეორე პირის ფორმა დჵ<*დ'ჳ<*დჷ+ჵ-საგან, სადაც, ზალემანის აზრით, დ აღარ იგრძნობოდა როგორც დჷ ნაცვალსახელის თანხმოვანი; ამიტომ 2პ. დჷ დჵ „შენ ხარ" ფაქტობრივ წარმოადგენს 2პ. ნაცვალსახელის განმეორებას. მანვე ივარაუდა დ-ს შესვლა 1 პირში ანალოგიით, ე. ი. ჵზ დჵნ ნაცვლად ჵზ ჵნ-ისა („მე ვარ") [10]. ზალემანს ეკამათებოდნენ, რადგანაც „ეჭვობდნენ, რომ შესაძლებელი იყოს მოინახოს ანალოგია 2 პირის ასეთი გავლენისა 1 პირზე" [7], 76). მაგრამ არავინ ეკამათებოდა მას იმაში, რომ ოსურში დჵ „ხარ" შეიძლებოდა მიგვეღო დჷ*ჵ-საგან „შენ ხარ". ჩვენც ვფიქრობთ, რომ ეს შესაძლებელი იყო, მით უფრო, რომ *ჵ „ხარ" მოკლებული უნდა ყოფილიყო გამომხატველობითს სიძლიერეს; ამდენად დჷ-ში (და მით უმეტეს დუ-ში) ხმოვნის დაკარგვის ფონეტიკური იშვიათობა ასეთ პირობებში ანაზღაურდებოდა მეორე პირის *ჵ-სათვის გამომხატველობითი სიმტკიცის მინიჭებისადმი მიდრეკილებით.

ამისათვის ხელი უნდა შეეწყო, თავის მხრივ, ინგუშურ და ფორმას, რომელიც გამოხატავს მეშველი ზმნის აწყოს მეორე პირსაც. ორენოვნობისას, რაც აუცილებელი პირობაა ენათა შერევისა, ასეთი რამ სრულიად შესაძლებელია.

რაც შეეხება ოსურის იმავე მეშველი ზმნის პირველ პირში (დჵნ) დ-ს შესვლას, ის უნდა მომხდარიყო იმავე ინგუშური და-დან, რომელიც პირველ პირსაც გამოხატავს, თუმცა სავსებით გამორიცხული ვერ იქნება მეორე პირიდან პირველ პირში გადასვლის შესაძლებლობაც [10]. შეადარე ა. შანიძის მიერ გამოთქმული აზრი მეორე პირის სუბიექტური პირის პრეფიქსის პირველ პირში ანალოგიით გადასვლის შესახებ სვანურში [12].

რიგ საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება საკითხის ასეთი გაგების შედეგად, ვფიქრობთ შევეხოთ უახლოეს ხანში.

(რედაქციას მოუვიდა 4.11.1947)

[1] ძვირფ დავალებული ვარ ჩაჩნურ ენათა ჯგუფის სპეციალისტის დოც. თინათინ გონაშვილისაგან ამ ძიება-შერჩევაში.

## დამოწმებული ლიტერატურა

1. В. И. Абаев. К характеристике современного осетинского языка. Яфетический сборник, т. VII, 1932.
2. გ. ახვლედიანი. Dativus praedicativus ოსურ ენაში. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923,
3. გ. ახვლედიანი. სამი „T" ოსურში. ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწდეული, I, 1924.
4. გ. ახვლედიანი. ოსური ენის ისტორიისათვის, III. ხშულთა ლაბიო-ველარული გამრგვალება ოსურ ენაში. სტალინის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941.
5 გ. ახვლედიანი. გემინირებული და „ნახევარგემინირებული" აფრიკატები ოსური ენის დვალურ დიალექტში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V. 1936.
6 Г. С. Ахвледиани. К вопросу о геминации смычных в осетинском по экспериментальным данным. Рефераты научно-исследовательских работ за 1945 г. АН СССР. Отделение литературы и языка, 1947, стр 40—41.
7. В. Б. Томашевский. Начальное д в формах осетинского вспомогательного глагола ўVН (уи)—„быть". Яфетический сборник, III, 1925.
8. გ. როგავა. ხშულთა ოთხეულებრივი სისტემა ადიღეურ ენებში. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, 1943.
9. В. Абаев. Четыре ряда смычных согласных в осетинском. Изв. Осет. инст. краеведения, Владикавказ, 1926, стр 475.
10 C. Salemann. Miller, Osetinskije etjudy. Bespr von—. Literatur-Blatt für Orientalische Philologie, I. 4 Heft, 1884, S 143.
11. В. И. Абаев. О „винительном" падеже в осетинском. Язык и мышление, т. X, 1940.
12. ა. შანიძე. უმლაუტი სვანურში. არილი, 1925, გვ 182, შენიშვნა.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე პროფ. დ. დოლიძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, აკ. წერეთლის ქ. № 7

ხელმოწერილია და. ფორმა 13.5.48. — საბეჭდი ფორმათა რაოდ. 5 1/16
ანაწყობის ზომა 7×11 — საავტორო ფორმათა რაოდ. 6,5 ფორმა

შეკვ. 246 — უე 02610 — ტირაჟი 1500